ოქმი:**ო63. 6323251001**
თარიღი:**08/09/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. სამტრედია. 4 სექტემბერი, 2023 წელი.

2023 წლის 4 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.
2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.
3. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.
4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე.
5. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს ხელმძღვანელი, შალვა არზუმანიანი. პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.
6. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.
7. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ბუღალტერი, სოფიკო სულავა.
8. ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.
9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.
10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

ხელმძღვანელი, დავით ბაღდავაძე. **საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.**

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
12. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.
13. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.
14. მოქალაქეები: თამაზ შანიძე და ვიტალი თარგამაძე.

აკაკი მინაშვილმა განცხადების გაკეთების მოთხოვნით, მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს. ნუგზარ ჯამბურიამ განუმარტა, რომ განცხადების გაკეთების უფლება მას, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 28-ე საკითხად (სხვადასხვაში) მიეცემოდა.

აკაკი მინაშვილმა აღნიშნა, რომ განცხადება არ ეხებოდა განსახილველ საკითხებს და სხდომის დაწყებამდე, რამდენიმე წუთს გამოიყენებდა.

დღის წესრიგის გაცნობამდე, განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა, აკაკი მინაშვილმა.

აკაკი მინაშვილი - ჩემი განცხადება უკავშირდება ოზურგეთში გუშინ მომხდარ ფაქტს. კერძოდ, ჩვენი მეგობრის, ,,ნაციონალური მოძრაობის'' დეპუტატის, დათო მჟავანაძის, ცემის ფაქტს და მინდა გამოვეხმაურო ამ შემთხვევას. ეს არის ძალიან ცუდი ფაქტი. სამწუხარო ის არის, რომ ამ პროცესში არა მარტო ,,ქუჩის ბიჭებმა'' არამედ, თანამდებობის პირებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩვენ იმისთვის ვართ აქ, რომ ასეთი სახელმწიფო არ უნდა შევქმნათ და ასეთი ქვეყანა არ უნდა ავაშენოთ. სამწუხაროა, რომ ასეთი რამ ხდება შუა ქალაქში, დღისით, პოლიციელების წინ. ჩვენ ვუერთდებით მის მიმართ სოლიდარობას და პროტესტის ნიშნად ვტოვებთ საკრებულოს სხდომას.

ნუგზარ ჯამბურიამ უპასუხა - თქვენი გადასაწყვეტია დაესწრებით თუ არა საკრებულოს სხდომას. ჩვენ ვგმობთ ნებისმიერი ძალადობის ფაქტს. თუმცა, კარგად გაიხსენეთ თქვენი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ჩადენილი დანაშაულებები, რომელიც საკმაოდ ვრცელია და უამრავ უმძიმეს ქმედებაში გამოიხატება, როგორ იქცეოდნენ და რას აკეთებდნენ, ჩვენთვის ძალიან კარგადაა ცნობილი. საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი და ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის საჭირბოროტო საკითხები, რომლის განხილვასა და დამტკიცების პროცესში უნდა ღებულობდეთ მონაწილეობას,. თუმცა თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება სხდომის დატოვების შესახებ.

საკრებულოს სხდომა დატოვა ,,ნაციონალურ მოძრაობის'' სამმა წევრმა: აკაკი მინაშვილმა, დავით ნკოლეიშვილმა და ლაშა გრიგოლიამ.

საკრებულოს სხდომას დაგვიანებით შემოუერთდა ,,ნაციონალური მოძრაობის'' ერთი წევრი, მარიამ ბარბაქაძე.

სხდომის თავმჯდომრემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.6322355001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 63223552 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21დეკემბრის N გ-63.632235518 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

5. „შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2023 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 632235514 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ- 63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 1 დეკემბრის №g-63.632235516 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21დეკემბრის №g-63.632235523 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

9. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2022 წლის 21 დეკემბრის N g-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

10. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

12. ქალაქ სამტრედიაში, დადიანის ქუჩაზე მდებარე 10421.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.54.120) - რაგბის სტადიონის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438735004) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

13. ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის, პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.688) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

15. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა, მე-7 ჩიხი, №1-ში მდებარე 154.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.312) და ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის, (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ .

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ვიტალი თარგამაძეს შორის, 2018 წლის 17 მაისს დადებული იჯარის ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

19. ,,2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №გ-63.63230937 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ტ.ცომაია/

20. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ნათია პაპავასთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

21. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ვალერიანე ფოცხვერიასთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

22. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

23. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

24. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრე

ბულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

25. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება'' -ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

26. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

27. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ.ტალაბაძე/

28. **სხვადასხვა.**

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.6322355001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს**

N 62-622323767 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, შრომის ანაზღაურების ხარჯის მუხლში თანხა შემცირება 3.0 ათ.ლარით; საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლში - 30.0 ათ.ლარით, სულ 33.0 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 30.0 ათ.ლარით, სოციალური ხარჯის მუხლში 3.0 ათ.ლარით, სულ 33.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.6322355001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 63223552 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს**

N 62-622323768 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ბიუჯეტის თანხა იზრდება 22.0 ათ.ლარით, აღნიშნულიდან გამომდინარე 2023 წლის სუბსიდიის გეგმა განისაზღვრება 657.2 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება.

კერძოდ, შრომის ანაზღაურების გეგმა მცირდება (გამწვანების განყოფილების უფროსისა და მძღოლის შტატის გაუქმების საფუძველზე) 10.8 ათ.ლარით. სულ 32.8 ათ.ლარი გადანაწილდება შემდეგ მუხლებში: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურების გეგმის მუხლში თანხა იზრდება 5.8 ათ.ლარით; - ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება (ცემენტისა და საღებავების შეძენისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბარდიულების, ცხაურებისა და ავტოფარეხთა კარებების შეღებვისათვის, წყლის სისტემების ტექნიკური საშუალებების (მასალების) შეძენისათვის) - 6.0 ათ.ლარით; - საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში (ზეთების ხარჯი) – 3.0 ათ.ლარით; - მიმდინარე რემონტის ხარჯის (გაერთიანების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ფილტრებისა და სავალი ნაწილების შეცვლა) – 3.0 ათ.ლარით; - ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯის გეგმა (ფილტრების და სავალი ნაწილების, საბურავების შეცვლა) – 1.5 ათ.ლარით; ტრანსპორტის დაქირავების ხარჯის მუხლში, სპეციალური ტექნიკის (ამწე და კალათის) დაქირავებისათვის – 1.20 ათ.ლარით; - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში, მიწის ფართის გაზრდილი იჯარისათვის, საშემოდგომო გამწვანებისათვის – 12.30 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის

N გ-63. 63223552 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს N62-622323775 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში. ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით, ხორციელდება ბიუჯეტის მოწესრიგება, კულტურული ღონისძიებების მუხლში თანხა იზრდება 15.2 ათ.ლარით. არაფინანსური აქტივების მუხლში თანხა მცირდება 1.2 ათ.ლარით და შესაბამისად, სოციალურ მუხლში თანხა იზრდება 1.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21დეკემბრის N გ-63.632235518 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს N62-622323771 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ნიკო ნიკოლაძის, დაბადებიდან 180 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით ითხოვს, 2023 წლის სუბსიდიის გეგმის გაზრდას 10.30 ათ.ლარით, კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 10.30 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21დეკემბრის N გ-63.632235518 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2023 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 632235514 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 18.4 ათ.ლარით. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში, შეხობა - ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში, თანხა იზრდება 18.4 ათ.ლარით. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2023 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის

N გ-63. 632235514 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ- 63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს N 62-622323769 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“ -ს 2023

წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კომპლექსური სპორტული სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი იზრდება 0.30 ათ.ლარით და განისაზღვრება, სულ 296.30 ათ.ლარით. შესაბამისად, ხორციელდება არაფინანსური აქტივების ზრდა. სხვა ნაგებობების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.30 ათ.ლარით. ცვლილება გამოწვეულია ჩოგბურთის კორტების სტენდის პროექტის მოსამზადებლად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N g- 63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235516 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს N62-622323773 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა მცირდება 0.80 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების მუხლში, ძირითადი აქტივების თანხა იზრდება 0.80 ათ.ლარით. (ცვლილება გამოწვეულია ოფისისათვის აუცილებელი ელექტრო-ტექნიკის გამაგრილებელ-გამათბობლის შესაძენად).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Ng-63.632235516 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21დეკემბრის №g-63.632235523 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 აგვისტოს** N62-622323774 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2023 წლის სუბსიდიის გეგმა იზრდება 11.20 ათ.ლარით და

2023 წლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრება 208.10 ათ.ლარით. აღნიშნული თანხით ითხოვს, შრომის ანაზღაურების მუხლში, თანამდებობრივი სარგოს გაზრდას 0.90 ათ.ლარით; საქონელი და მომსახურების მუხლში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების თანხა იზრდება 10.30 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21დეკემბრის №გ-63.632235523 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 აგვისტოს N:62-622323626 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება , სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამასა და პროგრამის ღონისძიებათა ხარჯებში. სოციალური ბიუჯეტი იზრდება - 50 000 -ლარით. კერძოდ, თანხა იზრდება 25-ე და მე-17 მუხლებში.

1. **მუხლი 25.** მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება - 15 000 ლარით;

2. **მუხლი 17.** ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 35 000 ლარით;

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2022 წლის 21 დეკემბრის

N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 აგვისტოს N1392 განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს მიეცა

თანხმობა წინა წლებში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომია 95 872 ლარი, მიმართოს ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საბავშვო ბაღის ეზოში, ატრაქციონის შეძენა-მოწყობისათვის - 20 000 ლარი და კულაშის ადმინისტრაციულ ერთეულში საჭიდაო დარბაზის ფასადის რეაბილიტაციისათვის და დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სტადიონის მოწყობისათვის - 75 872 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე (**02 04 კოდი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** საქონელი და მომსახურეობის გეგმა შემცირდეს 73 545 ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა ხელშეკრულებით განესაზღვრა 230.2 ათ. ლარის ოდენობით. შესაბამისად გაიზარდოს კოდი (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 230,2 ათ. ლარით.

რვა თვის ანალიზიდან გამომდინარე მოწესრიგდეს შემოსავლების გეგმა, სულ 131.5 ათ. ლარით შემდეგი სახით:

გაიზარდოს 153.1 კერძოდ:

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გაიზარდოს 96,4 ათ.ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გაიზარდოს - 1,0 ათ. ლარით;

- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე გაიზარდოს - 51.6 ათ. ლარით;

- არაფინანსური აქტივების კლება (მიწა) - 4,1 ათ. ლარით;

ასევე, შემცირდეს 21.6 ათ. ლარით, კერძოდ :

- სანებართვო მოსაკრებელი - 10,0 ათ. ლარით;

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 4,9 ათ. ლარით;

- შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 6,7 ათ. ლარით;

ასევე, შემცირდეს გადასახდელების ნაწილში სულ - 204.5 ათ. ლარით, კერძოდ:

- **კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 15,6 ათ. ლარით;

- **კოდი 03 03 დასუფთავების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 110,0 ათ. ლარით;

- **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 48,0 ათ. ლარით;

- **კოდი 05 05 02 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს - 22,5 ათ. ლარით.

- **კოდი 02 02 02 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 8.4 ათ. ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს და მოწესრიგდეს ასიგნებები შემდეგი სახით:

- **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში შეტანილი 2023 წლის 22 აგვისტოს N1530 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის** პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განესაზღვრა 6,278.3 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობის დადგენილებით შეადგენს - 5,799.0 ათ. ლარს , ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს 479.3 ათ. ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა სულ - 1,212.3 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობით - 1,131.2 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 81.1 ათ. ლარით; **კოდი 02 02 02 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა სულ - 120.0 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობით - 111.6 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 8.4 ათ. ლარით; **კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - სულ 158.6 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობით - 147.5 ათ. ლარით, ხოლო თანადაფინანსება - 11.1 ათ. ლარით;

- **(კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 3.0 ათ. ლარით;

- **(კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს- 105,0 ათ. ლარით (სოხუმის ქ. მოედნის კორდით მოწყობა);

- **(კოდი 06 02 04) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა გაიზარდოს - 50,0 ათ. ლარით.

- **(კოდი 05 03) შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 18,4 ათ. ლარით;

- **(კოდი 05 01 02 06) ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 11,2 ათ. ლარით.

- **(კოდი 04 03) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 15,2 ათ. ლარით. ასევე, შემცირდეს არაფინანსური აქტივის გეგმა - 1,2 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

- **(კოდი 03 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** სუბსიდია გაიზარდოს - 22,0 ათ. ლარით.

- **(კოდი 05 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 10,3 ათ. ლარით.**

- **(კოდი 05 01 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის**

კომპლექსური სპორტული სკოლის არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 0.3 ათ. ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(კოდი 03 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 30,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(კოდი 05 01 02 07) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 0.8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაფინანსური აქტივების გეგმა**.**

- **(კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის** შრომის ანაზღაურების გეგმა შემცირდეს - 10,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 10,0 ათ. ლარით.

- **(02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს -15.9 ათ.ლარი ; **(04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 9,3 ათასი ლარით, შესაბამისად გაიზარდოს (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 8,4 ათასი ლარით, (**04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 3,3 ათასი ლარით, (**05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 13,5 ათასი ლარით.

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 19.8 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა.

- **(02 05 კოდი) სოფლის მეურნეობის განვითარების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 63,2 ათ. ლარით და **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს - 177.7 ათ. ლარით**, (01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 0,2 ათ. ლარით, სულ 177,9 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა (საქართველოს მთავრობის N116 განკარგულება).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ’’.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 21 მარტს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს №5/15813 მომართვა, რომლის შესაბამისად, გვაცნობეს, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის 09,03,2023 წლის N2-08/3244 წერილი. დასმულია საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.09.46.316) დაყოფისა და დაყოფის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთების, (718,0 კვ.მ და 40,0 კვ.მ) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ითხოვს, დაყოფის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331);

ბ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ’’.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, დადიანის ქუჩაზე მდებარე 10421.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.54.120) - რაგბის სტადიონის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438735004) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023**

წლის 23 აგვისტოს N:62-622323580 წერილობითი მომართვის საფუძველზე, მუნიციპალიეტის მერს უნდა მივცეთ თანხმობა, რათა ქალაქ სამტრედიაში, დადიანის ქუჩაზე მდებარე 10421.00 კვ.მ არასასოფლო– სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობები - რაგბის სტადიონი, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბს ,,ფენიქ''-სს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი”-ს, (საიდენტიფიკაციო კოდი–438735004) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, დადიანის ქუჩაზე მდებარე 10421.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობები, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.54.120) - რაგბის სტადიონი.

- რაგბის სტადიონის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 5 (ხუთი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, დადიანის ქუჩაზე მდებარე 10421.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1, №2, №3 და №4 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.54.120) - რაგბის სტადიონის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი”-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–438735004) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის, პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა ს.ს. ,,სილქნეტი''-ს (საიდ. კოდი 204566978) საოპერაციო მიმართულებების დირექტორმა, ვერა დუდუჩავამ, N546/14-6 10.07.2023 (რეგისტრაციის 10/622319367-62 12.07.2023), რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ სამტრედიაში, ბაგრატიონის და ბათუ კრავეიშვილის ქუჩებზე მდებარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების--24 ერთეული გარე განათების ბოძების (საკადასტრო კოდი N34.00.165 და N34.00.117) სარგებლობაში გადაცემის საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება ახალი ვადით. ვინაიდან, აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა ეწურება 2023 წლის 01 სექტემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი, (დანართი №1) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადასცეს ს.ს. ,,სილქნეტს" (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978).

- ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის ვადად განისაზღვროს 05 (ხუთი) წელი.

- ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობის წლიურ საფასურად განისაზღვროს 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარი (05 წლის სარგებლობის საფასური 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარი).

- ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) სარგებლობისათვის, საფასური განაწილდება ყოველ თვეზე და გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- ს.ს. ,,სილქნეტს" ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) გადაეცემა მათზე ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის.

- ს.ს. ,,სილქნეტი" ვალდებულია, ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემ ბოძზე, (დანართი №1) ინტერნეტ–სადენებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსებით არ შეზღუდოს ქალაქ სამტრედიაში მდებარე 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის (დანართი №1) ელექტროგადამცემ ბოძებად გამოყენება.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ზემოაღნიშნული ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძი (დანართი №1) სარგებლობაში გადასცეს ასევე სხვა პირს.

დანართი №1

ქალაქი სამტრედია, ბაგრატიონის ქუჩა	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №34.00.165
ქალაქი სამტრედია, კრავეიშვილი ქუჩა	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №34.00.117

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში მდებარე, 24 (ოცდაოთხი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის, პირდაპირი განკარგვის წესით ს.ს. ,,სილქნეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-204566978) სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.688) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა მოქალაქე თამაზ შანიძემ, სოფელ ეწერში მდებარე 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (34.06.41.688) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე. საკითხი განიხილა მერიის შესაბამისმა კომისიამ. საკრებულოში შემოსულ მომართვას თან ერთვის თამაზ შანიძის 19/622310083-62 10.04.2023 განცხადება და ეწრის მოსახლეობის თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, გრიგოლ დარჯანიას, მოტივირებული წინადადება და მოსახლეობის კრების ოქმი. მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით განკარგვისათვის, საჭიროა საკრებულოს თანხმობა, რისთვისაც საკითხი განიხილა

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. კომისიის მიერ მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის დათვალიერება. მოქალაქე თამაზ შანიძეს იქვე, 2,0 ჰა-ზე გაშენებული აქვს მოცვის პლანტაციები, რომელიც ძალიან მაღალ დონეზეა მოვლილი. დასაქმებული ყავს ადგილობრივი მოსახლეობა. თამაზ შანიძე ითხოვს, დამატებით 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს იჯარის ფორმით სარგებლობისათვის.

მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.688) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს თამაზ შანიძეს.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

- მიწის ნაკვეთის, სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარი (25 წლის იჯარის ქირა 75000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი).

- ქირა განაწილდება ყოველ თვეზე და ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

ასევე მომხსენებელმა ინფორმაციის სახით გააცნო საკრებულოს წევრებს და მიმართა თამაზ შანიძეს, რომ მარტო წელს მოცვის ექსპორტიდან, 18,0 მილიონი დოლარი შემოვიდა საქართველოში. 4 დღის წინ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წელს სახელმწიფოს მხრიდან, 70%-იანი თანადაფინანსება განხორციელდება 30 ტონა მოცულობის პროდუქციის შენახვაზე გათვლილი მაცივრებისათვის. თანადაფინანსება იქნება სახელმწიფოს მხრიდან, გრანტის სახით.

აზრი გამოთქვა: მერაბ უღრელიძემ, თამაზ შანიძემ, ნუგზარ ჯამბურიამ.

მერაბ უღრელიძე - მინდა საკრებულოს წევრებს ვუთხრა, რომ ბატონმა თამაზმა, დაახლოებით 2,0 ჰა-ზე შესანიშნავი მოცვის პლანტაცია გააშენა სოფელ ეწერში. დაასაქმა სოფლის მოსახლეობა. ის ტერიტორია დაფარული იყო ხე და ბუჩქნარით. ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრადაც ვერ იყენებდა ფართობს. დასუფთავდა, გაიწმინდა და შესანიშნავი პლანტაციაც გაშენდა. ყველა კმაყოფილი და მადლიერი ვართ ამ პიროვნების საქმიანობით. დღეს თანხმობას ვეუბნებით მერს, დამატებით 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის.

თამაზ შანიძე - უდიდესი მადლობა ყველას თანადგომისათვის, თანხმობისათვის, მაგრამ ერთი დიდი თხოვნით ვარ მოსული. ძალიან დიდ თანხებთანაა ეს ყველაფერი დაკავშირებული. დღეის მდგომარეობაში 208,0 ათ. ლარი დაჯდა. ეს ინვესტიცია ეწერში არ არის ცუდი. თუმცა დღეს სამჯერ მეტია გასაკეთებელი. ჩემი პარტნიორები მზად არიან ყველაფერი გავაკეთოდ, მაგრამ პირველ ეტაპზე თქვენი მხარდაჭერა დაგვჭირდება. იქ არის წარმოუდგენლად ძნელი გასაწმენდი ადგილი. მოსახლეობა მოწადინებულია და ელოდება ამ საქმის დაწყებას. არც წინა 2,0 ჰა-ზე არ მაკლდა ბატონი დავით ბახტაძის და კობა ბიბილეიშვილის მხარდაჭერა, თუმცა დღეს ყველაფრის ფასები კატასტროფულად გაიზარდა და გაწმენდითი სამუშაოები კიდევ უფრო ძვირი ჯდება. ჩვენ მოწადინებული ვართ შემოვიტანოთ დაახლოებით 300,0 ათ. ლარის ინვესტიცია და ვფიქრობ ეს ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, ეწრის თემისათვის, არ იქნება ურიგო საქმე. რაც შეეხება მაცივრების საკითხს, ჩვენთვის ცნობილია ეს ფაქტი და ძალიან გაგვიხარდა ეს ინფორმაცია. 350,0 ათ. ლარი ჯდება ეს ყველაფერი, 250,0 ათ. ლარამდე ხდება სახელმწიფოდან დაფინანსება. შეკრებილი ვართ 5 კაცი, 100,0 ათ. ლარი ჩვენი ძალებით უნდა მოვიძიოთ. ეს უახლოესი სასამომავლო საქმეა. თქვენი მხრიდან, ამ ეტაპზე ძირითადად დაგვჭირდება ტექნიკით დახმარება, რომლის დიდი იმედი გვაქვს. დღემდე უარი არ მიმიღია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოგახსენებთ ყველას.

ნუგზარ ჯამბურია - ბატონ თამაზს წარმატება ვუსურვოთ ჩანაფიქრის აღსრულებაში. ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა. თქვენ ბრძანეთ, რომ

გესაჭიროებათ პირველადი დახმარება. საკრებულოს წევრები, პოზიცია და ოპოზიცია, ყველანი დარწმუნებული ვარ ერთხმად დაუჭერს მხარს წარმოდგენილ პროექტს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი, ასეთი დარგობრივი განვითარებისათვის, საკრებულოსა და მერიის მხრიდან ერთობლივი მხარდაჭერით, დასახული მიზნების განვითარებისკენ იქნება მიმართული. გისურვებთ წარმატებებს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 69342.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.688) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის მე-14 საკითხის განხილვის შემდეგ, საკრებულოს წევრმა, მარიამ ბარბაქაძემ, (რომელმაც გვინ მიიღო შეტყობინება თანაგუნდელების გადაწყვეტილების შესახებ) დატოვა საკრებულოს სხდომა.

კენჭისყრაში მონწილეობის მიღებას აგრძელებს საკრებულოს 23 წევრი.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხება პრივატიზების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საკითხს, რადგან წინა განმეორებითი აუქციონი (2023 წლის 18-25 მაისი) არ შედგა მონაწილის არ არსებობის გამო (წინა აუქციონზე საწყისი ფასი იყო 100000.00 ლარი). მომართვის საფუძველზე, მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შემდეგი განმეორებითი აუქციონისათვის, საწყისი ფასი კიდევ უფრო უნდა შემცირდეს და გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის პრივატიზების მიზნით, საწყისი ფასი- -65000 ლარი, ბიჯი--2000.00 ლარი, საგარანტიო თანხა -40000.00 ლარი.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ პროექტზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აუქციონის სწორად და შედეგიანად წარმართვის მიზნით, საჭიროა შემცირდეს საგარანტიო თანხა და ნაცვლად 40000 (ორმოცი ათასი) ლარისა, განისაზღვროს 10000 (ათი ათასი) ლარით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით).

- განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 65000 (სამოცდახუთი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის, (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე''.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა, მე-7 ჩიხი, №1-ში მდებარე 154.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.312) და ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის, (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ'' .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, მიმართვები, მოსახლეობის მოსაზრებები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები და საკრებულოს განსახილველად, შესასწავლად და დასამტკიცებლად წარმოუდგინა 3 საპრივატიზაციო ობიექტი:

1. სამტრედია, დიდი ჯიხაიშში მცხოვრებმა, ალექსანდრე (ალეკო) ვაშაკიძე, (19/622235491-62 20.12.2022), განცხადებით ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯიხაიშში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 26300.00კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. აღნიშნული ნაკვეთის პრივატიზებას არ ეწინააღმდეგება ადგილობრივი მოსახლეობა, რაზედაც წარმოდგენილია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელის სოფელ დიდ ჯიხაიშში, მოხსენებითი ბარათი, მოსახლეობის გამოკითხვის აქტი და 01- 62231866 05/07/2023 წერილი (მოსახლეობის კრების ოქმი). მიზანშეწონილი იქნება, მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზება ელექტრონული აუქციონის წესით. აღნიშნულის განხორციელებისათვის საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

2. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გამოხატავს თანხმობას, ვალერიანე თევზაძის განცხადების შესახებ, რომელიც ეხება, ქალაქი სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 154.00კვ.მ მიწის ნაკვეთის, (საკადასტრო კოდი 34.08.58.312) პრივატიზებას. ნაკვეთის პრივატიზებას არ ეწინააღმდეგება ადგილობრივი მოსახლეობა, რაზედაც წარმოდგენილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი N01-622232142 17/11/2022 და მოსახლეობის გამოკითხვის აქტი. მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზება

ელექტრონული აუქციონის წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

ინფრასტრუქტურის კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ბიუროს სხდომაზე შეტანილი იქნა რიგი ცვლილებები. კერძოდ,

1) პროექტის 2.3. ქვეპუნტში მითითებული საწყის საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრული თანხა 8000 (რვა ათასი) ლარი გაიზარდა და გახდა 10000 (ათი ათასი) ლარი. და 2) 2.5. ქვეპუნქტში მითითებული საგარანტიო თანხა 5000 (ხუთი ათასი) ლარი შემცირდა და განისაზღვრა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ელექტრონულ აუქციონში, გაცილებით მეტი მონაწილის მობილიზებას.

3. განკარგულების პროექტში მესამე საპრივატიზაციო ობიექტად წარმოდგენილია - ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები, №1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ.

აღნიშნულის თაობაზე, მერიის ქონების სამსახურის ხელმძღვანელის, ნოე ივანიაძის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თანახმაა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას სარგებლობის უფლებით, 3(სამი) წლის ვადით, გადაეცეს ქალაქ სამტრედიაში მდებარე უძრავი ქონებები: (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: N34.08.49.317, N34.08.49.312, N34.08.49.014). ამასთან ერთად, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს ქალაქ სამტრედიაში მდებარე უძრავი ქონებებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ჩამოწერა/დემონტაჟი. ჩამოწერა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 და დემონტაჟი განხორციელდეს, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N239 დადგენილებების შესაბამისად, იმ პირობით, თუ სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემდგომ, შეიტანება შესაბამისი ცვლილება საჯარო რეესტრის ამონაწერსა და საკადასტრო გეგმაში.

აღნიშნულზე, მერიაში მიღებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართვა N5004797823 26/07/2023, (10/6223212149-01 31.07.2023), რომელსაც თან ერთვის N005254923 დასკვნა, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე 13741.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების - ღირებულების შესახებ. აღნიშნული დასკვნის თანახმად, N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება (მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების გარეშე) დღევანდელი დღის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 276000 ლარს. იმისათვის, რომ მოხდეს --ქონების პრივატიზება დემონტაჟით და გატანით, საჭიროა საკრებულოს თანხმობა. თანხმობის შემთხვევაში, უნდა გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე 13741.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების - N1შენობის განაშენიანების ფართი 836.00კვ.მ, N2 – 12.00კვ.მ, N3 - 1487.00კვ.მ, N4 - 34.00კვ.მ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.08.49.014, პრივატიზება დემონტაჟით

და გატანით, საწყისი ფასი--276000.00 ლარი, ბიჯი-1000.00 ლარი, საგარანტიო--50000.00 ლარი.

აღნიშნულის ირგვლივ (სამივე საპრივატიზაციო ობიექტების შესაბამისად), იმსჯელა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 8000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა, მე-7 ჩიხი, №1-ში მდებარე 154.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.312) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 276000 (ორას სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

პირობად განისაზღვროს, რომ:

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა, უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) დღე. აღნიშნული 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ, აუქციონის შედეგად განსაზღვრული, ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

- პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 26300.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.49.430), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა, მე-7 ჩიხი, №1-ში მდებარე 154.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.312) და ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის, (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ'' .

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის ქონების სამსახურმა განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის, საჯავახოს თემის პირველი ნიგორწყვაში მცხოვრები, ვიტალი თარგამაძის, N19/622320072-08 19.07.2023 განცხადება, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობაში, იჯარით, 15 წლის ვადით გადაცემული მიწის ნაკვეთის, (საკადასტრო კოდი 34.11.43.251) საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, რადგან მოხდა მიწის ნაკვეთის ფართის ცვლილება და ამონაწერის კორექტირება. კერძოდ, ნაცვლად 19790.00 კვ.მ ფართობისა, კორექტირების შემდეგ, ფართობი შეადგენს 14948.00კვ.მ. გარდა ამისა, ვიტალი თარგამაძე ითხოვს, სარგებლობის ვადის გაზრდას და აღნაგობის უფლებით გადაცემას. კორექტირებამდე, მოხდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის კატეგორიის შეცვლა და დარეგისტრირებულ იქნა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთად 2022 წლის 12 სექტემბერს. ვინაიდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი კორექტირებამდე იქნა შეფასებული (19790.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეფასებულია 118780.00 ლარად), აქედან გამომდინარე, კორექტირებული ფართობი 14948.00 კვ.მ შეფასებულად უნდა ჩაითვალოს და შეადგენს 89718.21 ლარს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს ვიტალი თარგამაძეს.

- აღნაგობის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

- სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 6000 (ექვსი ათასი) ლარი (10 წლის საფასური (ქირა) 60000 (სამოცი ათასი) ლარი).

- ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ვიტალი თარგამაძეს შორის, 2018 წლის 17 მაისს დადებული იჯარის ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ''.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით, შეწყვიტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ვიტალი თარგამაძეს შორის 2018 წლის 17 მაისს დადებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 19790.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) იჯარის ხელშეკრულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ვიტალი თარგამაძეს შორის, 2018 წლის 17 მაისს დადებული იჯარის ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ''.

დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №გ-63.63230937 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება გამოწვეულია ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის, ოთარ წულეისკირის, 2023 წლის 15 აგვისტოს №01-62232272 მოხსენებით ბარათში და მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის, სოფიკო კიკაჩეიშვილის, 2023 წლის 17 აგვისტოს №01-622322915 მოხსენებით ბარათში დასმული საკითხების შედეგად.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში,

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №g-63.63230937 განკარგულებაში.

- 2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები (დანართი №1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №1

2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	თანა დაფინანსება (ლარი)	პროექტის ღირებულება (ლარი)	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი)
1	ბაში	გარე განათების მოწყობა	20 000	0	19 500	500
2	იანეთი	საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა	15 000	0	15 000	0
3	იანეთი	გარე განათების მოსაწყობად მასალების შეძენა	5 000	0	5 000	0
4	დიდი ჯიხაიში	გარე განათების მოწყობა	20 000	0	19 500	500
5	პატარა ეწერი	სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	12 000	0	11 700	300
6	ახალსოფელი	ბორანთან მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	400	0	0	400
7	ახალსოფელი	სკვერებში საბავშვო ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი	15 600	0	15 600	0
8	გვიმრალა	ამბულატორიის შენობის და ღობის რეაბილიტაცია	1 500	0	1 463	37
9	გვიმრალა	საბავშვო ბაღის შენობისთვის კარ-ფანჯრების შეძენა-მონტაჟი	5 500	0	5 500	0
10	გვიმრალა	სკვერში საბავშვო ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი	5 000	0	5 000	0
		სანიაღვრე არხების				

11	კეჭინარი	მოწყობა	12 000	0	11 700	300
12	ოჭოფა	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	10 000	17 000	26 325	675
13	ჯიქთუბანი	გზისპირა მოსაცდელის მოწყობა	7 000	0	6 825	175
14	ჯიქთუბანი	სკვერის მოწყობა	5 000	0	4 875	125
15	მელაური	ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	4 500	0	4 388	112
16	მელაური	ამბულატორიისთვის წყლის სისტემის მოწყობა და ოთახის რემონტი	7 500	0	7 313	187
17	მიწაბოგირა	სკვერის მოწყობა	16 000	10 000	25 350	650
18	ხიბლარი	სკვერში სპორტული ტრენაჟორების და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	16 000	10 000	25 610	390
19	ნაბაკევი	სანიაღვრე არხების მოწყობა	6 500	0	6 338	162
20	ნაბაკევი	ხიდ-ბოგირების მოწყობა	4 500	0	4 388	112
21	ნაბაკევი	სკვერის კეთილმოწყობა	5 000	0	4 875	125
22	კვირიკე	სკვერის კეთილმოწყობა	12 000	0	11 700	300
23	ნინუაკუთხე	ე.წ. ნაბუტკოს სკვერის კეთილმოწყობა	12 700	0	12 383	317
24	ნინუაკუთხე	სანიაღვრე არხის ამოწმენდა	300	0	293	7
25	ნინუაკუთხე	გარე განათების მოწყობა	1 500	0	1 463	37
26	ნინუაკუთხე	მილ-ბოგირის მოწყობა	1 500	0	1 463	37
27	**ჩხენიში**	**გარე განათების მოწყობა**	**8 000**	**0**	**7 801**	**199**
28	**ჩხენიში**	**გზისპირა მოსაცდელის აშენება**	**8 000**	**0**	**7 800**	**200**
29	ხუნჯულაური	სპორტულ მოედანზე განათების მოწყობა	5 000	0	4 875	125
30	ხუნჯულაური	სანიაღვრე არხების მოწყობა	1 000	0	975	25
31	ხუნჯულაური	ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	6 000	0	5 850	150
32	დაბა კულაში	სკვერის მოწყობა	20 000	20 000	39 000	1 000
33	ღანირი	სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	20 000	0	19 500	500
34	ჭაგანი	სკვერის რეაბილიტაცია	16 000	10 000	25 350	650
35	დაბლაგომი	გარე განათების მოწყობა	16 000	0	15 600	400

36	გომმუხაყრუა	გზის მოხრეშვა ნადირაძეების უბანში	6 500	0	6 338	162
37	გომმუხაყრუა	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	3 000	0	2 925	75
38	გომმუხაყრუა	გარე განათების მოწყობა	2 500	0	2 438	62
39	გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	7 000	0	6 825	175
40	გომნატეხები	სკვერის რეაბილიტაციისთვის მასალების და ინვენტარის შეძენა	4 000	0	4 000	0
41	გომნატეხები	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	975	25
42	დაბლა ეწერი	წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	5 000	0	5 000	0
43	დაბლა ეწერი	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	5 000	0	4 875	125
44	დაფნარი	გარე განათების მოწყობა	9 550	0	9 312	238
45	დაფნარი	სანიაღვრე არხის მოწყობა	5 200	0	5 070	130
46	დაფნარი	წყლის და სანიაღვრე სისტემებისთვის მასალების შეძენა	1 250	0	1 250	0
47	დობირო	გზაზე ბეტონის საფარის დაგება	10 000	0	9 750	250
48	ზედა ეწერი	გზის მოხრეშვა	8 500	0	8 288	212
49	ზედა ეწერი	გარე განათების მოწყობა	2 500	0	2 438	62
50	ზედა ეწერი	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	975	25
51	კეთილაური	სასაფლაოს შემოსაღობად მასალების შეძენა	1 300	0	1 300	0
52	კეთილაური	წყლის სისტემისთვის მასალების (წყლის ტუმბო, ლითონის ავზი, პოლიეთილენის მილი) შეძენა	8 700	0	8 700	0
53	კორმაღალი	ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	4 000	0	3 900	100
54	კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	8 000	0	7 800	200
		გარე განათების				

55	მთისძირი	მოწყობა	6 000	0	5 850	150
56	მთისძირი	სკვერის შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 750	250
57	ცივწყალა	გზების რეაბილიტაცია	9 400	0	9 165	235
58	ცივწყალა	წყლის სისტემისთვის პოლიეთილენის ფ25 მმ-იანი 400 გრძ/ მეტრი მილის შეძენა	600	0	600	0
59	საჯავახო	ღია სავარჯიშო მოწყობილობების მონტაჟი	16 000	6 000	22 000	0
60	ნიგორზღვა I	კიკვაძეების უბანში სკვერის მოწყობა	12 000	8 000	19 500	500
61	ნიგორზღვა II	სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა	10 000	0	9 750	250
62	ჭოგნარი	გარე განათების მოწყობა	12 000	0	11 700	300
63	ტოლები	სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის დაგება	10 000	0	9 750	250
64	ბუღნარა	ქვაკირის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ბეტონის საფარის დაგება	12 000	0	11 700	300
65	ვაზისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	16 000	0	15 600	400
66	ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	12 000	23 400	600
67	ზემო ტოლები	სასაფლაოების შემოსაღობად მასალების შეძენა	10 000	0	10 000	0
68	ქვემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	0	11 700	300
69	ქორეის უბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 750	250
70	დიდი ოფეთი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	10 000	10 000	19 500	500
71	თხილაგანი	გზის რეაბილიტაცია	2 000	0	1 950	50
72	თხილაგანი	ნაპირსამაგრის მოწყობა	8 000	0	7 800	200

73	მტერჩვეული	გზის გაფართოება	7 000	5 000	11 700	300
74	მტერჩვეული	სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და სანიაღვრე არხის მოწყობა	3 000	0	2 925	75
75	ნაწილოფეთი	გზების მოხრეშვა	6 000	0	5 850	150
76	ნაწილოფეთი	სანიაღვრე არხების მოწყობა	4 000	0	3 900	100
77	პატარა ოფეთი	ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა	8 000	0	7 800	200
78	პატარა ოფეთი	გარე განათების მოწყობა	2 000	0	1 950	50
79	წიაღუბანი	შიდა გზების მოხრეშვა	10 000	5 000	14 625	375
80	გორმაღალი	გზების მოხრეშვა	16 000	0	15 600	400
81	გამოჩინებული	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	10 000	0	9 750	250
			660 000	**113 000**	**756 027**	**16 973**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №g-63.63230937 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის XX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ნათია პაპავასთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის**, ნათია პაპავას,** 2023 წლის 25 აგვისტოს N63-6323237001 განცხადება **.** განმცხადებელი ითხოვს კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას 2023 წლის 5 სექტემბრიდან.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან,** ნათია პაპავასთან, 2023 წლის 5 სექტემბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ნათია პაპავასთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის XXI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ვალერიანე ფოცხვერიასთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვალერიანე ფოცხვერიას, 2023 წლის 21 აგვისტოს N 63-63232336001 განცხადება. განმცხადებელი ითხოვს კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან,** ვალერიანე ფოცხვერიასთან, 2023 წლის 1 ოქტომბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ვალერიანე ფოცხვერიასთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის XXII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ტარიელ ცომაიას, 2023 წლის 21 აგვისტოს N 63-63232336 განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას 2023 წლის 11 სექტემბრიდან. **ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის** მოვალეობის შესრულება, დაეკისრება, საკრებულოს წევრს, დავით ჯანელიძეს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ტარიელ ცომაიასთან,** 2023 წლის 11 სექტემბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის XXIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი მელაშვილის, 2023 წლის 22 აგვისტოს N63-63232342 განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას 2023 წლის 5 სექტემბრიდან. **განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის** მოვალეობის შესრულება, დაეკისრება, საკრებულოს წევრს, გოჩა არველაძეს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ირაკლი მელაშვილთან,** 2023 წლის 5 სექტემბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, **განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის** მოვალეობის შესრულება, დაევალოს საკრებულოს წევრს, გოჩა არველაძეს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის XXIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ლეჟავას, 2023 წლის 15 აგვისტოს N19/63232273-63 განცხადება. განცხადებელი ითხოვს თანხმობას, 2023 წლის 5 სექტემბრიდან, ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით. **საკრებულოს** შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს, ამავე კომისიის წევრი, ლიზა კრავეიშვილი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო

და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, გიორგი ლეჟავასთან,** 2023 წლის 5 სექტემბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, **შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის** მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს წევრს, ლიზა კრავეიშვილს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის XXV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება'' -ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის მოადგილის, მაია ტალაბაძის, 2023 წლის 21 აგვისტოს N63-63232364 განცხადება. განცხადებელი ითხოვს თანხმობას, 2023 წლის 7 სექტემბრიდან, კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, მაია ტალაბაძესთან, 2023 წლის 7 სექტემბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება'' -ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის XXVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 10 აგვისტოს** N 62-62232225 **წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება,** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვის საკითხებში, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული შეიცვლება და გარდაიქმნება ჯანდაცვის და სოციალურ საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ საშტატო ერთეულად.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მაია ტალაბაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 16 აგვისტოს** N 62-622322865 **წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება,** ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის ნიმუშში აისახება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 02 აგვისტოს MES 0 23 0000956848 მომართვით მოცემული რეკომენდაციები.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 03 აპრილის №8 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი